



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/60

ქ. თბილისი

30 დეკემბერი 2021

სტუ-ის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 24 დეკემბერს №0001415230 წერილით სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სენატს დასამტკიცებლად წარმოუდგინა 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი, სტუ-ის 2022 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. უნივერსიტეტის 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელიც აერთიანებს შემოსავლების კლასიფიკაციას, ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივებით ოპერაციების კლასიფიკაციას, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას.

სტუ-ის 2022 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვრა 53 729 760 ლარით, რაც 3 407 690 ლარით ნაკლებია წინა წლის შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებელზე, რომელიც გამოწვეულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დაფინანსებისა და სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავალის ნაკლებობით.

გადასახადები განისაზღვრა 53 729 760 ლარით. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წლიური სახელფასო ფონდი განსაზღვრულია 18 490 875 ლარით, ხოლო საშტატო რიცხოვნობა 1 077 ერთეულით. სტუ-ის ადმინისტრაციის, ფაკულტეტების ადმინისტრაციების და დამხმარე პერსონალის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 1 093 საშტატო ერთეულით, წლიური სახელფასო ფონდით – 12 579 180 ლარი. არასაპენსიო

ასაკის თანამშრომლებისთვის კორპორაციული დაზღვევის ხარჯები – 500 000 ლარის ოდენობით.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში პანდემიის გავრცელებით გამოწვეული მძიმე ეკონომიკური კრიზისის და უნივერსიტეტში სწავლის, სწავლების და მეცნიერული კვლევების ჩატარების განსაკუთრებული რეჟიმის პირობებში, უნივერსიტეტის რექტორატმა და ადმინისტრაციამ საშტატო განრიგის ოპტიმიზაციის შედეგად შეძლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალისათვის ხელფასის გაზრდა, 2020-2021 სასწავლო წელს შეძლო თანამშრომლებისათვის ხელფასის დროული გაცემა, შეასრულა ყველა სოციალური ვალდებულება.

სენატი უნივერსიტეტის რექტორატის და ადმინისტრაციის ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ძირითადად განსაზღვრულია სტუდენტთა სწავლის საფასურის ბაზაზე, პრაქტიკულად არავითარი მუშაობა არ ტარდება კანონით მინიჭებული ეკონომიკური და კომერციული საქმიანობის გეგმაზომიერად წარმართვაზე და ამ გზით შემოსავლების შესაძლებელ გაზრდაზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევის დანერგვის შედეგების ფინანსური სარგებელი არ არის ასახული ბიუჯეტში და თვითდაფინანსები სამეცნიერო ცენტრებიდან შემოსავლებმა შეადგინა მხოლოდ 1 800 000 ლარი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სტრატეგიული გეგმის შესასრულებლად შემუშავებული 2022 წლის გეგმის და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ უნივერსიტეტისადმი მიცემული შენიშვნების და ნაკლოვანების აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), კარლო კოპალიანის 2021 წლის 24 დეკემბრის №0001415230 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 30 დეკემბრის №01-06-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

დამტკიცდეს სტუ-ის 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტი.

I. საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 53 729 760 ლარით, მათ შორის:

1. შემოსავალი სწავლებიდან – 43 649 440 ლარით;
2. სამეცნიერო კვლევითი გრანტების, კერძოდ, სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან შემოსავალი – 3 940 225 ლარით, ხოლო საერთაშორისო (მიზნობრივი) გრანტები – 100 000 ლარით;
3. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები – 3 062 510 ლარით (იჯარა – 642 000 ლარი; სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავალი – 1 800 000 ლარი; მეიჯარეების მიერ გადასახდელი კომუნალური გადასახადები – 100 000 ლარი; სს საქართველოს ბანკის ფინანსური მხარდაჭერის თანხა – 470 510 ლარი);
4. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება – 2 977 585 ლარით.

II. გადასახდელები შესაბამისად განისაზღვროს 53 729 760 ლარით, მათ შორის:

1. „შრომის ანაზღაურება“ – 31 102 185 ლარით;
2. „საქონელი და მომსახურება“ – 13 587 721 ლარით;
3. „გრანტები“ – 10 000 ლარით;
4. „სოციალური უზრუნველყოფა“ – 40 000 ლარით;
5. „სხვა ხარჯები“ – 2 806 460 ლარით;
6. „არაფინანსური აქტივების ზრდა“ – 5 965 261 ლარით.

2022 წლის ნაერთ ბიუჯეტში „შრომის ანაზღაურების“ წილი ასიგნებების მიმართ შეადგენს 57,9 %-ს; „საქონელი და მომსახურების“ წილი – 25,3 %-ს, „გრანტების“ – 0,02%-ს; „სოციალური უზრუნველყოფის“ – 0,07%-ს; „სხვა ხარჯების“ – 5,2%-ს, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ – 11%-ს.

III. დამტკიცდეს სტუ-ის 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები (დანართი №1):

1. უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 01 01) – 10 444 060 ლარი;
2. უმაღლესი განათლება(ფაკულტეტები) (პროგრამული კოდი 01 02)-30 584 960 ლარი;
3. სტუდენტთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 01 03) -203 100 ლარი;
4. მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 01 04)-4 675 715;
5. პროფესიული განათლება(პროგრამული კოდი 01 05)-1 342 315 ლარი;
6. კულტურისა და სპორტის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 01 06) -447 740 ლარი;

7. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 01 07) – 6 031 870 ლარი.

IV. დამტკიცდეს:

1. შემოსავალი სწავლებიდან – 43 649 440 ლარით;
2. სამეცნიერო კვლევითი გრანტების, კერძოდ, სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო (მიზნობრივი) გრანტებიდან შემოსავალი – 4 040 225 ლარით;
3. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები – 3 062 510 ლარით (იჯარა – 642 000 ლარი; სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავალი – 1 800 000 ლარი; მეიჯარეების მიერ გადასახდელი კომუნალური გადასახადები – 100 000 ლარი; სს საქართველოს ბანკის ფინანსური მხარდაჭერის თანხა – 470 510 ლარი);
4. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება – 2 977 585 ლარით;

V. ნება დაერთოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში ცვლილებების განხორციელებაზე მთლიანი ასიგნების 7 %-ის ფარგლებში;

VI. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფესორი კარლო კოპალიანი):

1. უზრუნველყოს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის განუხრელი შესრულება;
2. შეიმუშაოს უნივერსიტეტში ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის განვითარების პროგრამა და უზრუნველყოს მისი შესრულება;
3. სტრატეგიული გეგმის შესასრულებლად შემუშავებული 2022 წლის გეგმის და აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადგენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მოიძიოს შესაბამისი დაფინანსება და 2022 წლის მარტში წაუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) დასამტკიცებლად.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი



კარლო კოპალიანი